PoSIG

2025 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ევროპის სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ამოქმედდება ახალი ერთობლივი, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება - ინტეგრაცია და მმართველობა“ (PoSIG)!

მოცემული პროგრამის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხდება ერთიანი კონსორციუმის წევრი, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 15 უნივერსიტეტი. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტებია:

- ზალცბურგის უნივერსიტეტი (PLUS)
- სკოპიეს წმინდა კირილე და მეთოდის უნივერსიტეტი (UKIM)
- ტირანას ევროპული უნივერსიტეტი (UET)
- ტირანას უნივერსიტეტი (UTIR)
- პრიშტინას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (UBT)
- სარაევოს უნივერსიტეტი (UNSA)
- სარაევოს მეცნიერების ტექნოლოგიის სკოლა (SSST)
- ტრიესტეს უნივერსიტეტი (UNITS)
- პრიშტინას უნივერსიტეტი (UP)
- მონტენეგროს უნივერსიტეტი (UMO)
- ბელგრადის უნივერსიტეტი (UBG)
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (YSU)
- ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (EIU)

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაში „პოლიტიკის მეცნიერება - ინტეგრაცია და მმართველობა“ (PoSIG)! შემოთავაზებული იქნება მოდულები პოლიტიკის მეცნიერების ყველა სფეროში:

- შედარებითი პოლიტიკა
- ევროპული ინტეგრაცია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო ადმინისტრირება და საჯარო პოლიტიკა
- პოლიტიკის თეორია

მოცემული ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი და მეთოდოლოგიური ცოდნის გარკვეული დონე.

სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, აირჩიონ PoSIG კონსორციუმის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ნებისმიერი, რომელიც სთავაზობს პირველი სასწავლო წლის კურსებს; ხოლო მეორე სასწავლო წლის გასაგრძელებლად უნდა აირჩიონ ნებისმიერი სხვა პარტნიორი უნივერსიტეტი. სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს და ისწავლოს კონსორციუმის წევრ მინიმუმ ორ სხვადასხვა უნივერსიტეტში. ყველა უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტი ისწავლის სტუდენტზე გასცემს ერთობლივ სამაგისტრო ხარისხს.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერება - ინტეგრაცია და მმართველობა (PoSIG)! განხორციელდება ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით, როგორც „შესაძლებლობათა შექმნა უმაღლეს განათლების სისტემაში“ (CBHE) პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტი.